საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი

ქ.თბილისი, თიანეთის გზატკეცილი №25 ტელ: 268-80-01; 268-79-30 oc

№5/292 9 დეკემბერი 2015 წ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის 2015 წლის ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა შესრულების თაობაზე.

დანართი 1 (ერთი) ფურცლად.

პატივისცემით,

დირექტორი გიორგი ასათიანი

სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის 2015 წლის ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებების შესრულების თაობაზე

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2014 წლის 10 დეკემბრიდან 2015 წლის

10 დეკემბრამდე პერიოდს

საანგარიშო პერიოდში (2014 წლის 10 დეკემბრიდან 2015 წლის 10 დეკემბრამდე) სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ რეგისტრირებულია 11 განცხადება, მათ შორის 5 შემოსულია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წერილებზე თანდართვით, 5 მოთხოვნა იურიდიულ პირს ეკუთვნის, ხოლო 1 განცხადება ეკუთვნის ფიზიკურ პირს, რომელმაც მეორე დღესვე მოგვმართა წერილობით, თავისივე განცხადების გატანის შესახებ .

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში სულ გაცემულია 10 საჯარო ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ უარის თქმის თაობაზე არცერთი გადაწყვეტილება არ მიღებულა.

,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრულია მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობა, რომლის შესაბამისადაც საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის თაობაზე 10 მოთხოვნა გაცემულ იქნა ასლის მოსაკრებლის გადახდის გარეშე.

სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის“ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე (მატერიალური და ელექტრონული ფორმით) ზედამხედველობა ევალება ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსს რამაზ ღვინეფაძეს.

სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის“ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი არის ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი თამარ მაყაშვილი.

,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების დანართის მე-2 ნაწილის 2.4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის 2015 წლის 10 დეკემბრის ანგარიში პროაქტიულად გამოქვეყნდება სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.olympiccentre.ge საჯარო ინფორმაციის გვერდზე ქვეგანყოფილებაში ,,ზოგადი ინფორმაცია“.